საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 2676 2020 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით უძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის გაცემის თაობაზე

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მიეცეს თანხმობა, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2-ით) გამოწვეული ინფექციის (COVID-19-ის) მართვის მიზნით, უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით, შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკას“ (ს/კ: 205165453) არსებული ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე გადასცეს სამინისტროს სარგებლობაში არსებული №43.10.42.174 მიწის (უძრავი ქონების)

საკადასტრო კოდზე (მისამართი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუხი) რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (მასზე განთავსებული/დამაგრებული შენობა-ნაგებობის ჩათვლით) 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**